ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორები
NODIA, URUMASHVILI & PARTNERS

სარჩევი:

- „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ'' საქართველოს ახალი კანონი 2
- „საქართველოს პატენტრწმუნებულთა შესახებ“ საქართველოს ახალი კანონი 5
- საქართველოს „საპატენტო კანონში'' განხორციელებული ცვლილებები 7
- დოკუმენტის ლეგალიზაციის წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 აგვისტოს №404 დადგენილებაში განხორციელებული ცვლილება
- „დოკუმენტის აპოსტილით დამოწმების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 აგვისტოს №405 დადგენილებაში განხორციელებული ცვლილება 8
- „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილება
- ფინანსური და კაპიტალის ბაზრების მიმართულებით განხორციელებული ცვლილებები 9

„2024 წლის 10 ივნისის მდგომარეობით საინფორმაციო ბიულეტენში მოცემული მოსაზრებები და ანალიზი არის ინფორმაციული ხასიათის; ისინი არ უნდა იქნას აღქმული, როგორც შ.პ.ს. „ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორების“ მიერ გაცემული სამართლებრივი რჩევა."

1. „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" საქართველოს ახალი კანონი

2024 წლის 03 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ". აღნიშნული კანონი შეეხება შემდეგ სუბიექტებს:

- ისეთ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირს, რომელიც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არ არის დაფუძნებული, რომელიც არ არის „სპორტის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს ეროვნული სპორტული ფედერაცია ან „ადამიანის სისხლისა და მისი კომპონენტების ხარისხისა და უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული სისხლის დაწესებულება და რომლის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული მთლიანი შემოსავლის 20%-ზე მეტის წყარო უცხოური ძალაა;
- „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ისეთ მაუწყებელს, რომლის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული მთლიანი არაკომერციული შემოსავლის 20%-ზე მეტის წყარო უცხოური ძალაა;
- ისეთ იურიდიულ პირს, რომელიც ერთპიროვნულად, ან სხვასთან ერთად ფლობს საქართველოში მოქმედ მასობრივი ინფორმაციის ბეჭდურ საშუალებას და რომლის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული მთლიანი არაკომერციული შემოსავლის 20%-ზე მეტის წყარო უცხოური ძალაა;
- ისეთ იურიდიული პირს, რომელიც ერთპიროვნულად, ან სხვასთან ერთად ფლობს ან/და იყენებს მასობრივი ინფორმაციის საქართველოს სახელმწიფო ენაზე გამავრცელებელი ინტერნეტსაშუალებისთვის განკუთვნილ ინტერნეტდომენს, ან/და ინტერნეტჰოსტინგს და რომლის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული მთლიანი არაკომერციული შემოსავლის 20%-ზე მეტის წყარო უცხოური ძალაა.

კანონი განსაზღვრავს „უცხოური ძალის" მნიშვნელობას, რომელიც აღნიშნული კანონის მიზნებისათვის განსაზღვრულია შემდეგნაირად:

- უცხო სახელმწიფოს ხელისუფლების სისტემის შემადგენელი სუბიექტი;
- ფიზიკური პირი, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე;
- იურიდიული პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე არ არის დაფუძნებული;
- ისეთი ორგანიზაციული წარმონაქმნი (მათ შორის, ფონდი, ასოციაცია, კორპორაცია, კავშირი, სხვა სახის ორგანიზაცია) ან პირთა სხვა სახის ისეთი გაერთიანება, რომელიც უცხო სახელმწიფოს სამართლის, ან/და საერთაშორისო სამართლის საფუძველზეა დაფუძნებული.

„უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაცია" აღნიშნული კანონის მთავარი ობიექტია, რომელიც იმ შემთხვევაში, თუ კანონის მიერ დადგენილ კრიტერიუმებს 2023 წლის მდგომარეობით აკმაყოფილებს, ვალდებულია, 1 (ერთი) თვის ვადაში, შესაბამისი მუხლის ამოქმედებიდან 60 (სამოცი) დღის შემდგომ, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, მატერიალური ფორმით წარუდგინოს წერილობითი განცხადება „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად" რეგისტრაციის თაობაზე. რაც შეეხება ორგანიზაციებს, რომლებიც ასეთ კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ 2024 წლის პერიოდისათვის, მათ რეგისტრაცია უნდა განახორციელონ 2025 წლის იანვარში.

სუბიექტის მიერ მატერიალური ფორმით განცხადების წარდგენის შემდგომ, სააგენტო ვალდებულია, 2 (ორი) სამუშაო დღეში უზრუნველყოს აღნიშნული სუბიექტის სათანადო ვებგვერდზე იმგვარი დაშვება, რომ მან შეძლოს „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად'' რეგისტრაციის შესახებ განაცხადის ელექტრონულად, საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დადგენილი ფორმის დაცვით, შევსება და სააგენტოსთვის წარდგენა.

სუბიექტი ვალდებულია, მისი სათანადო ვებ-გვერდზე დაშვებიდან 10 (ათი) სამუშაო დღეში ელექტრონულად, საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დადგენილი ფორმის დაცვით შეავსოს და სააგენტოს წარუდგინოს განაცხადი.

კანონის თანახმად, განაცხადში, რომელიც იმავდროულად სუბიექტის საფინანსო დეკლარაციას წარმოადგენს, ასახოს შემდეგი ინფორმაცია (არსებობის შემთხვევაში):

- განაცხადის ავტორის საიდენტიფიკაციო მონაცემები;
- განაცხადის ავტორის ადგილსამყოფლის მისამართი;
- განაცხადის ავტორის ვებგვერდის მისამართი;
- ინფორმაცია განაცხადის ავტორის მიერ წინა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული ნებისმიერი ფულადი თანხისა და ქონებრივი ღირებულების სხვა სახის მატერიალური სიკეთის წყაროს, ოდენობისა და მიზნის შესახებ;
- ინფორმაცია განაცხადის ავტორის მიერ წინა კალენდარული წლის განმავლობაში დახარჯული ნებისმიერი ფულადი თანხის ოდენობისა და მიზნის შესახებ;
- განაცხადის შევსების თარიღი.

კანონის თანახმად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირი ვალდებულია, განაცხადის სააგენტოსთვის წარდგენიდან 30 (ოცდაათი) სამუშაო დღეში გამოიკვლიოს და შეისწავლოს აღნიშნული განაცხადი.

განაცხადის გამოკვლევის მიზნით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილ პირს უფლება აქვს, კანონის შესაბამისად მოიძიოს საჭირო ინფორმაცია, მათ შორის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მონაცემი (განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემი – მონაცემი, რომელიც უკავშირდება ფიზიკური პირის რასობრივ ან ეთნიკურ კუთვნილებას, პოლიტიკურ შეხედულებებს, რელიგიურ, ფილოსოფიურ ან სხვაგვარ მრწამსს, პროფესიული კავშირის წევრობას, ჯანმრთელობას, სქესობრივ ცხოვრებას, ბრალდებულის, მსჯავრდებულის, გამართლებულის ან დაზარალებულის სტატუსს სისხლის სამართლის პროცესში, მსჯავრდებას, ნასამართლობას, განრიდებას, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ან „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად დანაშაულის მსხვერპლად ცნობას, პატიმრობას და მის მიმართ სასჯელის აღსრულებას, აგრეთვე ბიომეტრიულ და გენეტიკურ მონაცემებს, რომლებიც ფიზიკური პირის უნიკალური იდენტიფიცირების მიზნით მუშავდება), სხვა პერსონალური მონაცემი და საიდუმლოების (გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სახელმწიფო საიდუმლოებისა) შემცველი ინფორმაცია. ყველა ის პირი, ორგანო, ორგანიზაცია, დაწესებულება, რომელსაც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირი მოსთხოვს ასეთი ინფორმაციის წარდგენას, ვალდებულია, დაუყოვნებლივ წარუდგინოს მას თავის ხელთ არსებული აღნიშნული ინფორმაცია.

კანონის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ განაცხადის ავტორი აკმაყოფილებს კანონით დადგენილ „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციის'' კრიტერიუმებს

და განაცხადი სწორად და სრულყოფილად არის შევსებული, სააგენტო ვალდებულია, განაცხადის წარდგენიდან 30 (ოცდაათი) სამუშაო დღეში დაარეგისტრიროს განაცხადის ავტორი „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად'' და აღრიცხოს იგი „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა'' რეესტრში.

იმ შემთხვევაში, თუ განაცხადი არასწორად ან/და არასრულყოფილად არის შევსებული, სააგენტო განაცხადის ავტორს ხარვეზის აღმოსაფხვრელად 10 (ათი) სამუშაო დღის ვადას განუსაზღვრავს, ხოლო განაცხადის ავტორი ვალდებულია აღნიშნულ ვადაში აღმოფხვრას ხარვეზი.

იმ შემთხვევაში, თუ განაცხადის ავტორი აკმაყოფილებს კანონით„უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციისთვის'' დადგენილ კრიტერიუმებს, სააგენტო ვალდებულია, აღნიშნული ვადის გასვლიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში დაარეგისტრიროს განაცხადის ავტორი „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად'' და აღრიცხოს იგი უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრში.

აღსანიშნავია, რომ სუბიექტის „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად'' რეგისტრაციისა და „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა'' რეესტრის წარმოების წესებს, აგრეთვე, განაცხადის ფორმას, ადგენს საქართველოს იუსტიციის მინისტრი.

კანონის შესაბამისად, სუბიექტის „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად'' რეგისტრაციისა და „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა'' რეესტრში აღრიცხვისთვის საფასური არ გადაიხდევინება, ხოლო ასეთი ორგანიზაციის მიერ „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა'' რეესტრში შეტანილი ინფორმაცია საჯაროა.

რეგისტრაციის ვალდებულებასთან ერთად, ორგანიზაციები, რომლებიც აკმაყოფილებენ „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციის'' კრიტერიუმებს, ვალდებულია აგრეთვე უზრუნველყოს ფინანსური ანგარიშებისა და ინფორმაციის წარდგენა.

ფინანსური ანგარიშების წარდგენის ფარგლებში, ორგანიზაციები, რომლებიც აკმაყოფილებენ კანონით განსაზღვრულ „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციის'' კრიტერიუმებს, ვალდებულნი არიან, განცხადებაში ყოველწლიურად ასახონ ინფორმაცია, წინა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული და დახარჯული ნებისმიერი ფულადი თანხისა და ქონებრივი ღირებულების სხვა სახის მატერიალური სიკეთის წყაროს, ოდენობისა და მიზნის შესახებ.

ინფორმაციის წარდგენის თვალსაზრისით, „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციის'' გამოსავლენად, ან ამ კანონის რომელიმე მოთხოვნის შესრულების შესამოწმებლად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილ პირს (რომელიც კანონით ერთმნიშვნელოვნად არ არის იდენტიფიცირებული) უფლება აქვს, ნებისმიერ დროს განახორციელოს მონიტორინგი – საკითხის სათანადო გამოკვლევა და შესწავლა.

ამ მიზნით, ორგანიზაცია, რომელიც აკმაყოფილებს კანონით განსაზღვრულ კრიტერიუმებს, და მათ შორის, ფიზიკური პირი, რომელიც შესაძლოა, ფლობდეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს უფლებამოსილი პირის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას, ვალდებულია, დაუყოვნებლივ წარუდგინოს მას თავის ხელთ არსებული აღნიშნული „საჭირო'' ინფორმაცია.

კანონით განსაზღვრული ზემოაღნიშნული ვალდებულებების შეუსრულებლობა, მათ შორის, კანონით განსაზღვრული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში, სუბიექტის მიერ „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ

ორგანიზაციად'' რეგისტრაციისთვის თავის არიდება, დაკავშირებულია ფულად ჯარიმებთან, რომელიც მერყეობს 5 000 (ხუთი ათასი)-დან 25 000 (ოცდახუთი ათასი) ლარამდე, ვალდებულების დარღვევის ხასიათის შესაბამისად.

კანონის თანახმად, აგრეთვე დაგეგმილია, შესაბამისმა ორგანოებმა/თანამდებობის პირებმა მიიღონ/გამოსცენ ამ კანონის შესასრულებლად საჭირო კანონქვემდებარე აქტები და უზრუნველყონ სათანადო კანონქვემდებარე აქტების ამ კანონთან შესაბამისობა.

2. „საქართველოს პატენტრწმუნებულთა შესახებ“ საქართველოს ახალი კანონი

2024 წლის 15 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი - „საქართველოს პატენტრწმუნებულთა შესახებ'', რომელიც აწესრიგებს საქართველოს პატენტრწმუნებულის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, პირის რეგისტრაციასა და მისთვის საქართველოს პატენტრწმუნებულის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს, აგრეთვე განსაზღვრავს საქართველოს პატენტრწმუნებულის საქმიანობის ძირითად პრინციპებს, უფლებამოსილებებსა და ვალდებულებებს, საქართველოს პატენტრწმუნებულთა ასოციაციის დაფუძნებისა და საქმიანობის პრინციპებსა და ძირითად მიზნებს.

იმდენად, რამდენადაც პატენტრწმუნებულის ინსტიტუტი საქართველოს სამართლებრივ რეალობაში შედარებით ახალი მოვლენაა, ხოლო იქამდე არსებული კანონმდებლობა არ მოიცავდა ისეთი საკითხების მარეგულირებელ ნორმებს, როგორიცაა პატენტრწმუნებულის სტატუსის მოპოვება, რეგისტრაცია, მუდმივ განვითარებაზე ზრუნვის ვალდებულება, მარწმუნებელთან ურთიერთობა და მათ საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები, ახალმა კანონმა სწორედ ასეთი საკითხები მოაწესრიგა.

ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ მიერ ამ კანონისა და საქპატენტის თავმჯდომარის ბრძანების შესაბამისად, შეიქმნა პატენტრწმუნებულთა რეესტრი, რომელში რეგისტრაციაც გულისხმობს პირისთვის კანონით განსაზღვრული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში, საერთო სპეციალიზაციის მქონე პატენტრწმუნებულის, ან/და სასაქონლო ნიშნების სპეციალიზაციის მქონე პატენტრწმუნებულის კვალიფიკაციის მინიჭებას, ამგვარი რეგისტრაცია კი, ამავდროულად, მისი უფლებამოსილებებისა და ვალდებულებების წარმოშობის საფუძველია.

კანონის თანახმად, განსხვავება საერთო და სასაქონლო ნიშნების სპეციალიზაციის პატენტრწმუნებულებს შორის არის ის, რომ საერთო სპეციალიზაცია პირს აძლევს უფლებას, განახორციელოს წარმომადგენლობა ინტელექტუალური საკუთრების სფეროში შემავალი ყველა მიმართულებით, ხოლო სასაქონლო ნიშნის სპეციალიზაციის ქონის შემთხვევაში, პირს ეძლევა უფლება, განახორციელოს წარმომადგენლობა და მარწმუნებელს გაუწიოს საკონსულტაციო მომსახურება სასაქონლო ნიშნების, დიზაინის, ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების მიმართულებით. იმის დასადასტურებლად, რომ პირს აქვს ინტელექტუალური საკუთრების სფეროში წარმომადგენლობის განსახორციელებლად საჭირო თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები, ტარდება საკვალიფიკაციო გამოცდა, სულ მცირე 2 (ორი) წელიწადში ერთხელ, საქართველოს სახელმწიფო ენაზე. აღნიშნულ საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვება ფასიანია, რომლის საფასურსაც შეადგენს 250 (ას ორმოცდაათი) ლარი.

კანონის თანახმად, საკვალიფიკაციო გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში პირი იღებს საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელ დოკუმენტს – სერტიფიკატს, რომლის საფუძველზეც პირმა უნდა მიმართოს რეესტრს რეგისტრირების მიზნით 5 (ხუთი) წლის განმავლობაში, აღნიშნული ვადის გასვლის შემდგომ კი პირის მიერ მიღებული სერტიფიკატი კარგავს ძალას.

პირს რეესტრში რეგისტრაციიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში გადაეცემა პატენტრწმუნებულის მოწმობა, რომლის საფასურიც განისაზღვრა 100 (ასი) ლარის ოდენობით. რეესტრში რეგისტრაციიდან 2 (ორი) თვის ვადაში პატენტრწმუნებული ვალდებულია, პატენტრწმუნებულთა ასოციაციას წარუდგინოს პროფესიული პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტები (დაზღვევის ხელშეკრულება და პოლისი).

აღნიშნული კანონის ერთ-ერთ სიახლეს წარმოადგენს პატენტრწმუნებულის ვალდებულება, იზრუნოს თავის პროფესიულ განვითარებაზე, რაც გულისხმობს პროფესიული საქმიანობის განსახორციელებლად აუცილებელი ცოდნის გაღრმავებასა და უნარ-ჩვევების მუდმივ გაუმჯობესებას. პატენტრწმუნებული ვალდებულია ყოველ 2 (ორი) წელიწადში სულ მცირე 10 (ათი) აკადემიური საათი დაუთმოს განგრძობად პროფესიულ განათლებას. ასეთი რეგულირების პირობებში, პატენტრწმუნებული ვალდებულია, განგრძობადი პროფესიული განათლების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტაცია შეინახოს მომდევნო 3 (სამი) წლის განმავლობაში.

აღნიშნული კანონით აგრეთვე განისაზღვრა პატენტრწმუნებულის ვალდებულებები და პასუხისმგებლობა მარწმუნებელთან ურთიერთობისას, მათ შორის, პატენტრწმუნებულის პროფესიული პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევასთან დაკავშირებული ვალდებულება. კანონმდებლობით განიმარტება პროფესიული საიდუმლოება და სავალდებულო ხდება მისი დაცვა, აგრეთვე, დგინდება გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც პატენტრწმუნებულს უფლება ექნება გაამჟღავნოს მისთვის საქმიანობის განხორციელების პროცესში მიღებული ინფორმაცია.

კანონით აგრეთვე განისაზღვრა პატენტრწმუნებულის ინტერესთა შეუთავსებლობის შემთხვევები, რომელთა მიხედვითაც, განისაზღვრა, რომ პატენტრწმუნებული არ შეიძლება გახდეს პირი, რომელიც უფლებამოსილების განხორციელების დაწყებამდე ბოლო 24 (ოცდაოთხი) თვის განმავლობაში მუშაობდა საქპატენტში და გაიწერა ზოგადი ვალდებულება, რომლის მიხედვითაც პატენტრწმუნებული უნდა მოქმედებდეს მარწმუნებლის ინტერესების შესაბამისად. განისაზღვრა ის ვალდებულებაც, რომ პატენტრწმუნებულმა უარი უნდა თქვას მარწმუნებლის დავალებით საქმიანობის განხორციელებაზე, თუ მან უკვე განახორციელა იმავე საქმეზე მომსახურება მეორე მხარის სასარგებლოდ.

კანონმდებლობით განისაზღვრა, მათ შორის, პატენტრწმუნებულთა ასოციაციის დაფუძნების, საქმიანობის, ზედამხედველობის, წევრად მიღებისა და წევრობის შეჩერება/შეწყვეტის წესები.

კანონის შესაბამისად, ასოციაციის საქმიანობის ძირითადი მიზნებია ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვის ხელშეწყობა, პატენტრწმუნებულის უფლებების, პროფესიული თავისუფლების, ინტერესებისა და დამოუკიდებლობის დაცვა, საზოგადოებაში პატენტრწმუნებულის პროფესიის ცნობადობის გაზრდა და მის მიმართ ნდობის ამაღლება, პატენტრწმუნებულის მიერ განგრძობადი პროფესიული განათლების მიღების ხელშეწყობა და წახალისება.

პირმა ასოციაციაში გაწევრებისთვის მას უნდა წარუდგინოს შესაბამისი განცხადება რეესტრში რეგისტრაციიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვისა. კანონით აგრეთვე განსაზღვრულია ასოციაციაში გაწევრიანებული პირის სტატუსის შეჩერება ან/და შეწყვეტის შემთხვევებიც.

კანონი აგრეთვე ითვალისწინებს პატენტრწმუნებულის მიმართ დისციპლინურ სამართალწარმოების შემთხვევებსაც, რომელიც, პატენტრწმუნებულის მიერ ვალდებულებათა დარღვევის ხასიათის შესაბამისად, მოიცავს: გაფრთხილებას, ასოციაციის წევრობის 6 (ექვსი) თვიდან 3 (სამი) წლამდე ვადით შეჩერებას, ან ასოციაციის წევრობის შეწყვეტას.

3. საქართველოს „საპატენტო კანონში" განხორციელებული ცვლილებები

2024 წლის 15 მაისს საქართველოს საპატენტო კანონში განხორციელდა რამდენიმე ცვლილება, რომელიც ამოქმედდება 2025 წლის 1-ელ იანვარს.

ცვლილება შევიდა კანონის ტერმინთა განმარტებაში, კერძოდ, „განმცხადებლის" მნიშვნელობას დაემატა მათ შორის, ფიზიკური, ან იურიდიული პირი, რომელიც პატენტს ან მოწმობას ითხოვს. ამავე კანონით განსაზღვრული ტერმინის „პატენტრწმუნებულის" დეფინიციას მიენიჭა საქართველოს პატენტრწმუნებულთა შესახებ კანონით განსაზღვრული მნიშვნელობა.

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – „საქპატენტის" უფლებამოსილების არეალს დაემატა კერძო სამართლის იურიდიული პირების დაფუძნების უფლებამოსილება, რომელსაც, აღნიშნული ცვლილების შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, საკუთარი მიზნების განსახორციელებლად განახორციელებს საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით, დამოუკიდებლად ან სხვა პირებთან ერთად.

ცვლილება შევიდა ინტერესთა კონფლიქტის მომწესრიგებელ ნორმაშიც, რომლითაც განისაზღვრა, რომ დაუშვებელია, წარმომადგენელი იყოს პირი, რომელიც წარმომადგენლობის განხორციელების დაწყებამდე ნაცვლად 12 (თორმეტი) თვისა, ბოლო 24 (ოცდაოთხი) თვის განმავლობაში მუშაობდა საქპატენტის იმ დეპარტამენტში, რომელიც ამ კანონით გათვალისწინებულ განაცხადზე ექსპერტიზის ჩატარებისთვის არის პასუხისმგებელი. ეს აკრძალვა არ ვრცელდება იმ პირზე, რომელიც წარმომადგენლობის განხორციელების დაწყებამდე ბოლო 24 (ოცდაოთხი) თვის განმავლობაში საქპატენტში სტაჟირებას გადიოდა.

4. დოკუმენტის ლეგალიზაციის წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 აგვისტოს №404 დადგენილებაში განხორციელებული ცვლილება

2024 წლის 24 ივნისს საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 აგვისტოს დადგენილება №404 - დოკუმენტის ლეგალიზაციის წესში განხორციელდა ცვლილება, რომლის ფარგლებშიც ცვლილება შევიდა ლეგალიზაციას დაქვემდებარებულ დოკუმენტთა ჩამონათვალში.

კერძოდ, ცვლილების თანახმად, ლეგალიზაციას ექვემდებარება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და მეცნიერების ახალგაზრდობის სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალი ორგანოების მიერ გაცემული დოკუმენტები, ასევე საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში გაცემული დოკუმენტები; დოკუმენტები, ასევე საგანმანათლებლო

დაწესებულების სტატუსის არმქონე იურიდიული პირის მიერ „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით გაცემული პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის სერტიფიკატი და სერტიფიკატის დანართი.

ცვლილება ასევე შეეხო იმ დოკუმენტთა ჩამონათვალს, რომელიც არ ექვემდებარება ლეგალიზაციას. სახელდობრ, ამ ცვლილების თანახმად, ლეგალიზაციას არ ექვემდებარება კერძო სამართლის იურიდიული პირის პირების მიერ (გარდა სამედიცინო და საგანმანათლებლო დაწესებულებებისა) დაწესებულებებისა, ასევე საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის არმქონე იურიდიული პირებისა, რომლებიც „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით, გასცემენ პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის სერტიფიკატსა და სერტიფიკატის დანართს, აღნიშნული დოკუმენტების ნაწილში) გაცემული დოკუმენტები.

5. დოკუმენტის აპოსტილით დამოწმების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 აგვისტოს №405 დადგენილებაში განხორციელებული ცვლილება

2024 წლის 24 ივნისის ცვლილების შესაბამისად, დოკუმენტის აპოსტილით დამოწმების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილებაში აპოსტილით მოწმდება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და მეცნიერების ახალგაზრდობის სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალი ორგანოების მიერ გაცემული დოკუმენტები, ასევე საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში გაცემული დოკუმენტები.

ამავე ცვლილებით განისაზღვრა დოკუმენტი, რომელიც არ ექვემდებარება აპოსტილით დამოწმებას. აღნიშნული ცვლილების თანახმად, აპოსტილით დამოწმებას არ ექვემდებარება კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ (გარდა სამედიცინო და საგანმანათლებლო დაწესებულებებისა) დაწესებულებებისა, ასევე საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის არმქონე იურიდიული პირებისა, რომლებიც „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით გასცემენ პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის სერტიფიკატსა და სერტიფიკატის დანართს, აღნიშნული დოკუმენტების ნაწილში) გაცემული დოკუმენტები.

6. „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილება

2023 კანონში შესული ცვლილებებით, განიმარტა საფუძვლიანი ეჭვი, რომელიც, კანონის თანახმად, წარმოადგენს ინფორმაციის, ფაქტების ან/და გარემოებების ერთობლიობას, რომელიც ანგარიშვალდებულ პირს ობიექტურად უჩენს ეჭვს, რომ გარიგება უკანონოდ მოპოვებული ქონების ან ასეთი ქონებისგან მიღებული შემოსავლის საფუძველზე ან/და ფულის გათეთრების მიზნით მომზადდა, დაიდო ან შესრულდა ან ტერორიზმის დაფინანსებას უკავშირდება, და ეს ეჭვი პრევენციული ღონისძიებების განხორციელების შედეგად ვერ გაქარწყლდა.

ცვლილებებით, ანგარიშვალდებული პირის მიერ პრევენციული ღონისძიებების განსაზღვრის წესში დამატებით მიეთითა, რომ ანგარიშვალდებულმა პირმა ტრასტის ან ტრასტის მსგავსი სამართლებრივი სტრუქტურის მქონე პირის მიმართ პრევენციული ღონისძიების

განხორციელებისას უნდა მოიპოვოს დოკუმენტი ტრასტის შექმნის შესახებ. დამატებით მიეთითა პრევენციული ღონისძიებების განხორციელების წესში ლატარიის ორგანიზატორის, აზარტული ან მომგებიანი თამაშების ორგანიზატორის ვალდებულება, დააკავშიროს ერთმანეთთან ღონისძიებების განხორციელების შედეგად მიღებული ინფორმაცია და განხორციელებული გარიგებების თაობაზე ინფორმაცია.

კანონში განხორციელებული ცვლილებები შეეხება პრევენციული ღონისძიების განხორციელებისას მესამე პირთან/შუამავალთან ურთიერთობის დამყარების წესებს, სახელდობრ, ანგარიშვალდებულმა პირმა საქმიანი ურთიერთობის დამყარებამდე უნდა შეისწავლოს და განსაზღვროს მესამე პირზე/შუამავალზე დაყრდნობის რისკი და ვალდებულია დარწმუნდეს, რომ მესამე პირს/შუამავალს აქვს სათანადო შესაძლებლობები, რათა პრევენციული ღონისძიებების განხორციელებისა და ინფორმაციის (დოკუმენტის) შენახვის ვალდებულებები ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) რეკომენდაციების შესაბამისად შეასრულოს.

კანონით ცვლილება შევიდა კონვერტირებადი/ვირტუალური აქტივის გადაცემის განმარტებაში, მისი გადაცემის განმხორციელებელ პირად მიეთითა ვირტუალური აქტივის გადამცემის ან ვირტუალური აქტივის მიმღების სასარგებლოდ მოქმედი სულ მცირე ერთი ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერი ან სხვა ფინანსური ინსტიტუტი, რომელსაც საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობით მინიჭებული აქვს ვირტუალური აქტივის მომსახურების განხორციელების უფლებამოსილება.

სამსახურისთვის ინფორმაციის წარდგენის ვალდებულების მხრივ, დამატებით განისაზღვრა, რომ საეჭვო გარიგების ან/და უჩვეულო გარიგების გამოვლენისთანავე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ვალდებულია, ამ გარიგებით გათვალისწინებული უფლების რეგისტრაციამდე სამსახურს წარუდგინოს აღნიშნულ გარიგებასთან დაკავშირებული ანგარიშგება. ხოლო, თუ თუ ანგარიშგების მიღებიდან არაუგვიანეს 24 საათისა სამსახური მითითებას არ გასცემს გარიგების შეჩერების შესახებ, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო სარეგისტრაციო წარმოებას გააგრძელებს და მიიღებს სათანადო გადაწყვეტილებას. რაც შეეხება უფლების რეგისტრაციის შემდეგ გამოვლენილ საეჭვო ან/და უჩვეულო გარიგებას, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ვალდებულია ასეთ გარიგებასთან დაკავშირებული ანგარიშგება სამსახურს ამ გარიგების გამოვლენის დღესვე წარუდგინოს.

მნიშვნელოვანია, რომ სამსახური საეჭვო გარიგებასთან ან/და უჩვეულო გარიგებასთან დაკავშირებული ანგარიშგების შესახებ უკუკავშირს გაახორციელებს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან, არაუმეტეს წელიწადში ერთხელ.

7. ფინანსური და კაპიტალის ბაზრების მიმართულებით განხორციელებული ცვლილებები

- ***„კაპიტალის ბაზრის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“***

2024 წლის 8 აპრილიდან ამოქმედდა დადგენილება „კაპიტალის ბაზრის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“, რომელიც საქართველოს მთავრობამ 28 მარტს მიიღო. პროგრამის მიზანია საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა ფასიანი ქაღალდების განთავსების სტიმულირების გზით და მოიცავს ორ კომპონენტს, თანადაფინანსებისა და ტექნიკური დახმარების კომპონენტს.

თანადაფინანსების კომპონენტის ფარგლებში თანადაფინანსების მაქსიმალური მოცულობისა და ლიმიტების შესაბამისად (აგრეთვე, ლიმიტის ფარგლებში რამდენჯერმე სარგებლობის უფლებით), გათვალისწინებულია ორი სახის ხარჯის თანადაფინანსება. პირველი სახის ხარჯს წარმოადგენს ბენეფიციარის მიერ სარეიტინგო კომპანიისთვის გადახდილი/გადასახდელი საკრედიტო რეიტინგის მოპოვებასთან დაკავშირებული ხარჯი, ხოლო მეორეს ბენეფიციარის მიერ საბროკერო კომპანიისთვის ასანაზღაურებელი მომსახურების საფასური.

ტექნიკური დახმარების კომპონენტით განსაზღვრულია ფასიანი ქაღალდების ემისიისთვის საჭირო ცოდნის ამაღლების მიზნით ტრენინგის ან/და შესაბამისი საკონსულტაციო მომსახურების თანადაფინანსება. სააგენტოს დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით უნდა დადგინდეს ამ კომპონენტში ჩართვისთვის მეწარმე სუბიექტის დასაშვებობის კრიტერიუმი, კომპონენტის დაფინანსების ლიმიტი და მოცულობა, ანაზღაურების წესი და სხვა პირობები.

პროგრამის კოორდინაციას ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, რომელიც ასევე ღონისძიებათა შესრულების ზედამხედველობას ახორციელებს. ხოლო, ბენეფიციარის დაფინანსებას უზრუნველყოფს სააგენტო.

დადგენილება განსაზღვრავს იმ მეწარმე სუბიექტთა სიას, რომლებიც არ ფინანსდებიან პროგრამის ფარგლებში, და ასეთი სუბიექტების საქმიანობას წარმოადგენს, მაგალითად, იარაღის და საბრძოლო მასალების წარმოება, სამხედრო და საბრძოლო ტრანსპორტის წარმოება, რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობები, აზარტული თამაშების საქმიანობები და სხვა. ასევე, განსაზღვრული და ჩამოთვლილია, თუ რა მიზნობრიობით არ შეიძლება გამოყენებულ იქნას პროგრამის ფარგლებში სასესხო ფასიანი ქაღალდების გამოშვებიდან მოზიდული სახსრები, მაგალითად თამბაქოს მოყვანა, აზარტული თამაშების საქმიანობები, ალკოჰოლიანი სასმელებით საბითუმო ვაჭრობა და სხვა. დადგენილება განსაზღვრავს პროგრამის ბიუჯეტს, ხარჯების დაფინანსების მოცულობასა და ფარგლებს/ლიმიტებს.

- ***საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2024 წლის 29 მარტის ბრძანება №74/04 სეკიურიტიზაციის მარეგულირებელი წესის დამტკიცების თაობაზე***

აღნიშნული ბრძანებით განსაზღვრულია ეროვნული ბანკისთვის ფასიან ქაღალდებად გარდაქმნის, იგივე სეკიურიტიზაციის შესახებ შეტყობინებისა და ინფორმაციის წარდგენის წესი, სეკიურიტიზაციის სპეციალური მიზნობრივი ერთეულის ავტორიზაციის პროცედურა და დამატებითი მოთხოვნები, ავტორიზებული სეკიურიტიზაციის სპეციალური მიზნობრივი ერთეულისა და მისი განყოფილების ლიკვიდაციის მარეგულირებელ დამატებით წესები და სხვა.

აღსანიშნავია, რომ სეკიურიუტიზაციის მარეგულირებელი წესის თანახმად, სპეციალური მიზნობრივი ერთეულის ავტორიზაციის მიზნით, განმცხადებელმა, ეროვნულ ბანკს უნდა წარუდგინოს შესაბამისი განაცხადის ფორმა და ამ წესით ჩამოთვლილი ინფორმაცია/დოკუმენტაცია.

- ***„საფონდო ბირჟის ლიცენზირების, ფინანსური ანგარიშგების წარდგენისა და კაპიტალის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2010 წლის 28 დეკემბრის №169/01 ბრძანებაში განხორციელებული ცვლილებები***

ცვლილებების თანახმად, ეროვნული ბანკი ლიცენზიის გაცემის შესახებ ან ლიცენზიის

გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ლიცენზიის მაძიებლის განცხადების მიღებიდან 45 სამუშაო დღის ვადაში. ბრძანების წინა ვერსიის თანახმად, აღნიშნული ვადას წარმოადგენდა 30 სამუშაო დღე და არ ითვალისწინებდა გაგრძელებას. ამჟამად, აუცილებლობის შემთხვევაში, ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 15 სამუშაო დღით, თუ ეროვნული ბანკი წინასწარ აცნობებს ლიცენზიის მაძიებელს ამის თაობაზე

- ***„ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 9 მარტის №32/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ***

ცვლილებებით თანახმად განისაზღვრა ისეთი დამატებითი სახის ვალდებულებები, როგორიცაა მაგალითად ფინანსურმა ორგანიზაციის მიერ მომხმარებლისთვის საფინანსო პროდუქტის პირობების შესახებ უტყუარი, გასაგები და გადაწყვეტილების მიღებისათვის აუცილებელი, წინასწარ ცნობილი და მის ხელთ არსებული სრული ინფორმაციის დროულად მიწოდების უზრუნველყოფა, მათ შორის, მომხმარებელთან გასაფორმებელ და/ან გაფორმებულ ხელშეკრულებებში.

აგრეთვე, დამატებით განისაზღვრა საფინანსო პროდუქტთან დაკავშირებულ სახელშეკრულებო პირობებში ხელშეკრულებაზე უარის თქმის არსებობის ან არარსებობის შესახებ პირობის ჩაწერის ვალდებულება, ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების გამოყენების პრაქტიკული ინსტრუქციების შემუშავება და ხელშეკრულებაში მითითების ვალდებულება და სხვა.

მნიშვნელოვანია, რომ ამ ცვლილებით ფინანსურ ორგანიზაციას ეკისრება ვალდებულება, გაითვალისწინოს უარის თქმის უფლების არსებობა/არარსებობა, ამ უფლების მოთხოვნის ვადა, განსაზღვროს უარის თქმის პირობები, მომხმარებლის მიერ შესასრულებელი ვალდებულებები და მის მიერ დასაბრუნებელი თანხის/ქონების დათვლის პრინციპი, და დამატებით, თუ გათვალისწინებულ ვადაში არ მოხდა აღნიშნული თანხის/ქონების დაბრუნება, განსაზღვრული უნდა იყოს გასატარებელი ღონისძიებები.

დამატებით, ფინანსური ორგანიზაცია ვალდებულია, მოამზადოს და გაწეროს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების გამოყენების პრაქტიკული ინსტრუქციები და მოცემული ინსტრუქციის ფარგლებში გაითვალისწინოს მომხმარებლის მხრიდან ფინანსურ ორგანიზაციისათვის შეტყობინების გაგზავნის არხები და მისამართი. ამ ინსტრუქციას ორგანიზაცია დამოუკიდებლად განსაზღვრავს.

ასევე, საფინანსო პროდუქტის შეთავაზების მიზნით, დისტანციური კომუნიკაციისას მომხმარებლის მხრიდან თანხმობის შემდეგ ფინანსურ ორგანიზაციას აქვს ვალდებულება, მიაწოდოს ამ უკანასკნელს ინფორმაცია ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

ყურადსაღებია, რომ მომხმარებლის მიერ უარის უფლების გამოყენების და თქმის შემთხვევაში დისტანციურ ხელშეკრულებაზე, შედეგად უქმდება დისტანციურ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ხელშეკრულება, რომელიც დაიდო ფინანსურ ორგანიზაციასთან ან მესამე მხარესთან, ფინანსურ ორგანიზაციასა და მესამე მხარეს შორის არსებული ხელშეკრულების საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში, ორგანიზაცია ვალდებულია, დაუყონებლივ აცნობოს

მომხმარებელსა და მესამე მხარეს დაკავშირებული დისტანციური ხელშეკრულების გაუქმების შესახებ.

ბრძანებაში ცვლილებით გათვალისწინებულია 30 დღიანი ვადა, რა დროშიც მომხმარებელს უნდა დაუბრუნოს ფინანსურმა ორგანიზაციამ დისტანციური ხელშეკრულების ფარგლებში მომხმარებლის მიერ გადახდილი თანხა სრულად ან ასანაზღაურებელი ხარჯის გამოკლებით. იგივე ვადაა განსაზღვრული მომხმარებლისთვის უარის თქმის შემთხვევაში თანხის დაბრუნების ვალდებულებისათვის.

საკონტაქტო ინფორმაცია:

საქართველო, ქ. თბილისი,
ვაჟა - ფშაველას გამზირი 71, ბლოკი IV,
სართული IV, ოფისი 28
ტელ: (+995) 322 207407 (ext. 101)
მობილური: (+995) 555 018585
ელ-ფოსტა: info@nplaw.ge
www.nplaw.ge

NODIA,
URUMASHVILI
& PARTNERS